

თავი I

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის იანვარ -სექტემბერი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12552.3	9912.5	3066.5	6846,0	6 759.8	773.1	5 986.7	13,343.9	5,770.6	7,573.3
გადასახადები	1581.7	1490,0	0.0	1490.0	2 136.7	-	2 136.7	5,021.8	0.0	5,021.8
გრანტები	8328.5	5143,9	3066,5	2077.4	2 361.7	773.1	1 588.6	5,770.6	5,770.6	0.0
სხვა შემოსავლები	2642.1	3278,6	0.0	3278,6	2 261.4	-	2 261.4	2,551.5	0.0	2,551.5
ხარჯები	7217.2	6837,7	183.0	6654,7	5 510.0	233.5	5 276.5	8,431.3	1,140.6	7,290.7
შრომის ანაზღაურება	1524.6	2077,2	85.0	1992,2	1 461.3	63.4	1 397.9	2,114.4	85.0	2,029.4
საქონელი და მომსახურება	821.8	906,1	0.0	906,1	542.9	2.0	540.9	1,775.5	957.6	817.9
პროცენტი	-	76,0	0,0	76,0	54.9	-	54.9	22,0	0.0	22,0
სუბსიდიები	3641.6	3281,9	80.0	3201,9	2 804.5	58.1	2 746.4	3,827.8	85.0	3,742.8
გრანტები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	407.9	375,0	18.0	357,0	366.6	10.9	355.7	416.0	13.0	403.0
სხვა ხარჯი	821.3	121.5	0.0	121.5	279.8	99.1	180.7	275.6	0.0	275.6
საოპერაციო საღებავი	5335.1	3074,8	2883,5	191,3	1 249.8	539.6	710.2	4,912.6	4,630.0	282.6

არაფინანსური აქტივების ცვლილება	3356.8	5816,9	5593,4	223,5	1 734.5	1 589.9	144.6	5,900.5	5,562.3	338.2
ზრდა	3407.5	5846,9	5593,4	253,5	1 781.4	1 589.9	191.5	5,950.5	5,562.3	388.2
კლება	50.7	30.0	0.0	30.0	46.9	-	46.9	50.0	0.0	50.0
მთლიანი სალდო	1978.3	-2742,1	-2709,9	-32,2	-484.7	-1 050.3	565.6	-987.9	-932.3	-55.6
ფინანსური აქტივების ცვლილება	1896.3	-2749,9	-2709,9	-40,0	-484.7	-484.7	-	-987.9	-932.3	-55.6
ზრდა	2749.4	0,0	0,0	0,0	2 265.2	2 265.2	-	-	-	-
კლება	853.1	2749,9	2709,9	40,0	2 749.9	2 749.9	-	987.9	932.3	55.6
ვალუტა და დეპოზიტი	853.1	2749,9	2709,9	40,0	2 749.9	2 749.9	-	987.9	932.3	55.6
ვალდებულებების ცვლილება	-82.0	-7,8	0.0	-7,8	-	-	-	-	-	-
კლება	82	7,8	0.0	7,8	-	-	-	-	-	-
საშინაო	82	7,8	0.0	7,8	-	-	-	-	-	-
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა		2018 წლის იანვარ -სექტემბერი		2019 წლის გეგმა				
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	12 603.0	9942,5	3066,5	6876,0	6 806.7	773.1	6 033.6	13,393.9	5,770.6	7,623.3

შემოსავლები	12 552.3	9912,5	3066,5	6846,0	6 759.8	773.1	5 986.7	13,343.9	5,770.6	7,573.3
არაფინანსური აქტივების კლება	50.7	30.0	0.0	30.0	46.9	-	46.9	50	0.0	50.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გადასახდლები	10.706.7	12692,4	5776,4	6916,0	7 291.4	1 823.4	5 468.0	14,381.8	6,702.9	7,678.9
ხარჯები	7 217.2	6837,7	183.0	6654,7	5 510.0	233.5	5 276.5	8,431.3	1,140.6	7,290.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	3 407.5	5846,9	5593,4	253,5	1 781.4	1 589.9	191.5	5,950.5	5,562.3	388.2
ვალდებულების კლება	82.0	7,8	0.0	7.8	-	-	-	-	-	-
ნაშთის ცვლილება	1 896.3	-2749,9	-2709.9	-40,0	-484.7	-484.7	-	-987.9	-932.3	-55.6

მუხლი 3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **13,343.9** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა		2018 წლის იანვარ-სექტემბერი			2019 წლის გეგმა			
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12 552.3	9 912,5	3 066,5	6846,0	6 759.8	773.1	5 986.7	13,343.9	5,770.6	7,573.3

გადასახადები	1 581.7	1 490.0	0,0	1490,0	2 136.7	-	2 136.7	5 021,8	0.0	5 021.8
გრანტები	8 328.5	5143,9	3066,5	2077,4	2 361.7	773.1	1 588.6	5,770.6	5,770.6	0.0
სხვა შემოსავლები	2 642.1	3278,6	0,0	3278,6	2 261.4	-	2 261.4	2,551.5	0.0	2,551.5

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის იანვარ-სექტემბერი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1 581.7	1490.0	-	1490,0	2 136.7	-	2 136.7	5 021,8	0.0	5 021,8
საშემოსავლო გადასახადი	375.4	340.0	-	340,0	259.4	-	259.4	-	-	-
ქონების გადასახადი	1 206.3	1150.0	-	1150.0	1 877.3	-	1 877.3	2 000,0	-	2 000,0
საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 062.8	1080.0	-	1080.0	1 826.7	-	1 826.7	1 948,7	-	1 948,7
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)								5,5	-	5,5
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულები ს მიწაზე	38.2	10,0	-	10,0	11.4	-	11.4	10,0	-	10,0
ფიზიკურ პირებიდან	30.5	10,0	-	10,0	11.3	-	11.3	10,0	-	10,0
იურიდიული პირებიდან	7.7	-	-	-	0.1	-	0.1	-	-	-
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულები ს მიწაზე	105.3	60,0	-	60,0	39.2	-	39.2	35,8	-	35,8
ფიზიკურ პირებიდან	26.2	60,0	-	60,0	38.8	-	38.8	35,8	-	35,8

იურიდიული პირებიდან	79.1	-	-	-	0.4	-	0.4	-	-	-
დამატებული ღირებულების გადასახადი	-	-	-	-	-	-	-	3 021,8	-	3 021,8

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **5,770.6** ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის იანვარ - სექტემბერი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები		5143,9	3066,5	2077,4				5,770.6	5,770.6	
	8 328.6				2 361.7	775.7	1 586.0			0,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	17,6	-	-	-	-2.6	-	-2.6	-	-	-
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2 650.4	2 260.4	-	2 260.4	2 364.3		1 588,6	-	-	-
გათანაბრებითი ტრანსფერი	2 467.4	2077.4	-	2077.4	1 588.6	-	1 588.6	-	-	-
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	183.0	183,0	183,0	-	137.7	137.7	-	820.6	820.6	-
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5 660.6	2 883.5	2 883.5	-	638.0	638.0	-	4,950.0	4,950.0	-
საქართველოს მთავრობის 2019								730.0	730.0	

წლის 22 იანვრის N45 განკარგულება										
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N557 განკარგულება								190.0	190.0	-
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულება								3,770.0	3,770.0	-
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 მარტის N674 განკარგულება								260.0	260.0	-

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **2,551.5** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2018 წლის იანვარ - სექტემბერი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	2 642.1	3278,6	-	3278,6	2 261.4	-	2 261.4	2,551.5	-	2,551.5

შემოსავლები საკუთრებიდან	2 487.2	3171,1	-	3171,1	2 133.0	-	2 133.0	2,411.5	-	2,411.5
პროცენტები	13.8	15.0	-	15.0	40.8	-	40.8	40,0	-	40,0
დივიდენდები	-	20,0	-	20,0	1.0	-	1.0	10,0	-	10,0
რენტა	2 473.4	3136,1	-	3136,1	2 088.6	-	2 088.6	2,361.5	-	2,361.5
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისთვის	830.0	1800.0	-	1800.0	590.5	-	590.5	1 000.0	-	1 000.0
მოსაკრებელი სახ. ტყის ფონდის მერქნული რეს. სარგ.	16.9	100.0	-	100.0	5.6	-	5.6	100.0	-	100.0
მოსაკრებელი წიალით სარგებლობისთვის	0,9	-	-	-	0.2	-	0.2	-	-	-
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	2.2	-	-	-	2.2	-	2.2	-	-	-
სხვა არაკლ. ბუნ. რეს. სარგ. მოსაკრებელი	1 620.8	1236,1	-	1236,1	1 490.1	-	1 490.1	1,261.5	-	1,261.5
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2.56	-	-	-	2.5	-	2.5	-	-	-
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	83.3	57.5	-	57.5	59.4	-	59.4	80.0	-	80.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	71.47	57.5	-	57.5	59.4	-	59.4	58.0	-	58.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	11.8	-	-	-	-	-	-	22,0	-	22,0
სანქციები (ჯარიმები საურავები)	63.35	50.0	-	50.0	63.2	-	63.2	60.0	-	60.0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო	62.7	45.0	-	45.0	63.2	-	63.2	60.0	-	60.0

სოციალური უზრუნველყოფა	407.9	375,0	18,0	357,0	366.6	10.9	355.7	416.0	13.0	403.0
სხვა ხარჯები	821.3	121,5	0,0	121,5	279.8	99.1	180.7	275.6	0.0	275.6

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **5,900.5** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **5,950.5** ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	4.4	10.0	37.6
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	-	-	-
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3 382.5	5836,9	5,502.9
04 00	განათლება	7.8	-	410.0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	11.4	-	-
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა	1.4	-	-
სულ ჯამი		3 407.5	5846.9	5,950.5

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 50.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2017 ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	50.7	30.0	50.0
პირითადი აქტივები	9.4	30.0	50.0
შენობა ნაგებობები	9.4	30.0	50.0
არაწარმოებული აქტივები (მიწა)	41.3	-	-

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 133.6	2712,5	2,895.4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 133.6	2636,5	2,660.8
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 084.8	2586,5	2,723.8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	48.8	50.0	50.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	-	76,0	121.6
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	-	0,0	-
702	თავდაცვა	108.4	120,0	-
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	-	0.0	-
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	-	0,0	-
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	-	0.0	-
704	ეკონომიკური საქმიანობა	4 232.9	5 964,5	6,313.9
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	-	0,0	-
7045	ტრანსპორტი	1 844.3	1 724,8	2,280.8
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 844.3	1724,8	2,280.8
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2 388.6	4239,7	4,033.1
705	გარემოს დაცვა	-	1.5	-
7051	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	-	1.5	-
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	763.5	598,5	705,0
7061	ბინათმშენებლობა	-	0.0	-
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	644.3	528,5	605,0
7063	წყალმომარაგება	-	0.0	-
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	119.2	70.0	100.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	81.9	80.0	85.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	81.9	80.0	85.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 600.5	1606,9	1,707.9

7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 590.5	494,0	500,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 590.5	1102,9	1,151.7
7083	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	-	0.0	-
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	10.0	10.0	56.2
709	განათლება	1 219.6	1058,5	2,028.6
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 044.9	980,0	1 300,0
7092	ზოგადი განათლება	57.7	55.0	713.6
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	117.0	23,5	15.0
710	სოციალური დაცვა	566.3	550,0	646.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	566.3	550,0	646.0
	სულ	10 706.7	12 692,4	14,381.8

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი 50.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

- დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 183,0 ათასი ლარი მიიმართოს:
 - ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 85.0 ათასი ლარი;
 - ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 85,0 ათასი ლარი;
 - გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 10,0 ათასი ლარი;
 - დ) „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 3,0 ათასი ლარი.
- „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით გამოყოფილი თანხა, მიზნობრივი გრანტი 637.6 ათასი ლარი მიიმართება განათლების სისტემის ხელშეწყობის ღონისძიებებზე, მ.შ. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის 227.6 ათასი ლარი, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის 410.0 ათასი ლარი

მუხლი 12. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ჭარბი თოვლის საფარისაგან გზების განთავისუფლება. კერძოდ განხორციელდება შემდეგი პროექტები:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციულ ერთეულებში, სოფელ ერკეთში, ჯვარცხმის უბანში (გ. ბერაძის ეზოს მიმართულებით) სოფელ ხიდისთავში შიდა საუბნო გზაზე ცემენტობეტონის საფარის მოწყობა, ხიდისთავი-ჭაჭიეთის დამაკავშირებელი გზის მეორე მონაკვეთის აღდგენის სამუშაოები;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფელ გოგოლესუბანში (მჭედლების სერი), სოფ. შუა ამაღლებაში, სოფელ გუთურში (ძველი სასაფლაოს მიმართულებით) გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფ. დაბლაციხე-საყვავისტყე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფ. გუთურის ცენტრალური გზიდან ახალ სასაფლაომდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

დაბა ჩოხატაურში ნიკო მარის ქუჩის რეაბილიტაცია;

სოფ. ქვენობანი-ბასილეთი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის შიდასახელმწიფოებრივი გზიდან სოფ. წიფნარის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდისთავი-ჭაჭიეთის დამაკავშირებელი გზის პირველი პკ 0+00-პკ 1+50 მონაკვეთის აღდგენის სამუშაოები.

მოსალოდნელი შედეგი:

მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

რეაბილიტირებული გზების სიგრძე.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა შენახვა, დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნარჩენებისგან დასუფთავება. მოხდება სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია.

1.2.1 კომუნალური სამსახური „სხივი“ (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სხივი“

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, კომუნალური სამსახური „სხივი“ ახორციელებს მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, დაბის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხეების გადაბეღვა-ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მონიშვნა, შემდგომში მოჭრა-დამუშავება და გატანა. მოხდება მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

მოსალოდნელი შედეგი:

განათებული ქუჩები;

მოსახლეობის გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა;

მუნიციპალიტეტის იერსახის გალამაზება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დამონტაჟებული სანათების რაოდენობა;

განთავსებული სანაგვე ურნების რაოდენობა;

გატანილი ნარჩენების რაოდენობა (ტონა).

1.2.2 ა(ა)იპ კურორტი „ბახმარო“ (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“

ქვეპროგრამის მიზანია კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობა, შემეცნებითი, გასართობი და სპორტული დანიშნულების ობიექტების შექმნა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, კომუნალური მომსახურების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება დამსვენებელთა მოზიდვა, მოსახლეობის გაჯანსაღების, დასვენების, სამედიცინო და კომუნალური მომსახურების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა. საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა. კურორტის ტერიტორიის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. საქუჩო განათების და წყალმომარაგების სისტემის მოვლა - პატრონობის ხელშეწყობა, ინდივიდუალური სააგარაკო სახლების და სხვა ობიექტების მშენებლობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი:

კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;

კურორტის დამსვენებლებისთვის გაუმჯობესებული სანიტარული პირობების უზრუნველყოფა;

ტურისტების რაოდენობის გაზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გატანილი ნარჩენების რაოდენობა (ტონა);

რეაბილიტირებული წყალმომარაგების ქსელი (გ/მ);

გაზრდილი ტურისტების რაოდენობა.

1.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში მოხდება სადღესასწაულო დღეებისათვის დაბის ქუჩების გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები, კერძოდ: მოეწყობა წყალგაყვანილობის ქსელი, ჩატარდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოები და

ადმინისტრაციული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.

1.3.1 შენობების ტექნიკური პასპორტების და მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადების და საინფორმაციო საშუალებების გამოქვეყნების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების და მიწის ფართების რეალიზაციისათვის აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, ქვეპროგრამის ფარგლებშიც ხორციელდება სარეალიზაციო ობიექტების ტექნიკური პასპორტების და მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება და საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნება, დაბის განვითარებისა და პროექტირებისათვის, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და აუდიტორული მომსახურების შესყიდვა. სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისა.

მოსალოდნელი შედეგი:

საპრივატიზაციო ობიექტების აღწერა;

შესყიდული საპროექტო დოკუმენტაციის მაღალი ხარისხი.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

შესყიდული საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა;

პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა.

1.3.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბასა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ინფრასტრუქტურული ობიექტების კეთილმოწყობის სამუშაოები. კერძოდ, განხორციელდება შემდეგი პროექტები:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (სოფელ ჩომეთსა და სოფელ კონხარში) სპორტული მოედნების რეაბილიტაცია;

დაბა ჩოხატაურში, მდინარე სუფსაზე საავტომობილო ხიდისა და სარეგულაციო კედლების მოწყობის სამუშაოები;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მუსიკალური სკოლის კაპ. შეკეთების სამუშაოები;

სოფ. ზომლეთში ყოფილი ფერმის ტერიტორიაზე საავტომობილო ხიდის აღდგენის და სოფ. ვანში ოხანეთის უბანში საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოები;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში პარკებსა და სკვერებში განათების მოწყობა;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ქვენობნის ადმ. ერთეულში - სოფელ ბუკნარში მინი სტადიონის მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგებული იფრასტრუქტურული სივრცის შექმნა;

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

კეთილმოწყობილი ობიექტების რაოდენობა;

1.5 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება(პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები და სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2 . განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა , ახალი ბაღების გახსნა.

მოხდება მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.

2.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი საადმინისტრაციო გარემოს შექმნა, უზრუნველყოფილი იქნება მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურება. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდება.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 450 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

მოსალოდნელი შედეგი:

საბავშვო ბაღებში გაუმჯობესებული საადმინისტრაციო პროცესი;

სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

საბავშვო ბაღებში მიმდინარე პროცესების მიმართ დადებითად განწყობილ მშობელთა რაოდენობა;

საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობის ზრდა.

2.2 განათლების სისტემის ხელშეწყობა(პროგრამული კოდი 04 02)

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებასა და სხვა ღონისძიებების მოწყობას. მოხდება მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ერთიან ეროვნულ გამოცდებში 100% გრანტის მიმღები აბიტურიენტები ერთჯერადი ფულადი ჯილდოთი 600 ლარის ოდენობით, ასევე მოხდება სამრევლო სკოლის მოსწავლეებისათვის სასწავლო სახელმძღვანელოების შეძენა.

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოხდება საჯარო სკოლებში მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ასევე განხორციელდება საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მოსალოდნელი შედეგი:

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის, ასევე არასასკოლო განათლების მსურველთა მოტივაციის ამაღლება, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა.

2.4 საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 04)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მოხდება მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით კადრების გადამზადება.

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ თანამშრომელთა ეფექტიანობის გაზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

კვალიფიკაცია ამაღლებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა.

3. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები(პროგრამული კოდი 05 00)

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენტთა მომზადების ორგანიზაციული დამეთოდური

ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდება ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა;

3.1.3 საფეხბურთო კლუბი „ბახმარო-2009“ (პროგრამის კოდი 05 01 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი „ბახმარო-2009“ რომელიც მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ჩემპიონატის რეგიონულ ლიგაში. დაარსების დღიდან გუნდში იგრძნობოდა სპორტული დონის ამაღლების ტენდენცია, გუნდმა მიაღწია გარკვეულ შედეგებს, კერძოდ 2009-2010 წლების გათამაშებაში მე-5 ადგილი, 2011-2012 წლების გათამაშებაში მე-4 ადგილი. 2013-2014-2015 წლებში მე-6 ადგილი. 2017 წელს, მიმდინარე სეზონის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე „ბახმარო-2009“ თავის ლიგაში პირველ ადგილზე ასრულებს სეზონს და პრაქტიკულად განაღდებული აქვს მომალ წელს ზედა ლიგაში თამაში.

გამომდინარე აქედან გუნდს გააჩნია სათამაშო კლასის ამაღლების პოტენციალი და მიზნად ისახავს გარკვეულ წინსვლას. მოხდება მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ამხანაგური მატჩების უფრო ხშირად ჩატარება.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება ბავშვთა საფეხბურთო აკადემია სადაც სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში 120 მოზარდია გაერთიანებული.

მოსალოდნელი შედეგი:

საფეხბურთო კლუბ „ბახმარო-2009“-ის სათამაშო ხარისხის კიდევ უფრო გაზრდა; მოზარდებში ფეხბურთისადი დაინტერესების გაზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

საფეხბურთო კლუბ „ბახმარო-2009“-ის კიდევ უფრო მაღალ ლიგაში დაწინაურება; ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაში ჩართული მოზარდების რაოდენობის გაზრდა.

3.1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი (პროგრამის კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას, მოეწყობა შეჯიბრებები :

- ნარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ბილიარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ფუტზალი - ჩოხატაურელი იუნკერების მაკარ ბურჭულაძის , აკაკი და გედეონ ხუნდაზეების სახელობის ტურნირი.

- ჭადრაკი - მუნიციპალიტეტის პირველობა და რეგიონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მოჭადრაკეთა მივლინება.
- ბალახის ჰოკეი - 9 აპრილს დაღუპულ ნატო გიორგაძისადმი მიძღვნილი ტურნირი.
- მაგიდის ჩოგბურთი - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- ლელეო - მუნიციპალიტეტის პირველობა.
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები ცხენოსნობაში, ლელობურთში, ბაგირის გადაძალვაში და სხვა.
- ფეხბურთი - ვეტერან ფეხბურთელთა შეჯიბრი.
- მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში - რუსეთის აგრესიის შედეგად სამაჩაბლოში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი.
- ტრადიციული დოღი და სხვა ღონისძიებები, კურორტ ბახმაროში ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით.
- აფხაზეთის ომში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლეთა ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში.
- ბაზიერობა - მუნიციპალიტეტის პირველობა და სხვა ღონისძიებები.
- აღნიშნული ცენტრი აერთიანებს ძიუდოს, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ბალახის ჰოკეის, კალათბურთის, რაგბის, ფრენბურთის ჭადრაკის სპორტულ წრეებს. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 9 სპორტული სახეობის 18 სექცია, სადაც გაერთიანებულია 305 მოსწავლე სპორტსმენი.
- **მოსალოდნელი შედეგი:**
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- სპორტული ღონისძიებებისადმი ინტერესის ზრდა.
- **შედეგების შეფასების ინდიკატორი:**
- ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- სპორტულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.
-

3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

3.2.2 კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა შემდეგი ღონისძიებები:

- საშობაო ზღაპარი-კარნავალი ზღაპრის გმირებთან ერთად.
- ვაჟა გოგოლაძის ხსოვნის საღამო.
- დედის და ქალის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- მღერთან და ხუმრობენ ჩოხატაურლები.
- პასქის ფესტივალი.
- დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო.
- ნ. დუმბაძის დღეები.
- ფერიცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი კურორტ ბახმაროში.

საესტრადო სიმღერების კონკურსი.

- რამინ მიქაბერიძისადმი მიძღვნილი საღამო.
- გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი საღამო.
- გურული საგალობლების ფესტივალი.

კულტურის ცენტრი აერთიანებს ანსამბლებს: „გურია“ -ს, „ნართი“-ს, „კრიმანჭულ“-ს, მანდილ“-ს, „ამაღლება“-ს საესტრადო ჯგუფებს, მგალობელთა ჯგუფს, ცეკვის ანსამბლებს, თეატრალურ დასს. კულტურის ცენტრის თანამშრომელთა ძალებით ხდება ხალხური რეწვის, ფოლკლორის მოძიება და დამუშავება და მაცურებელთათვის მიწოდება.

მოსალოდნელი შედეგი:

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა;
კულტურული მომკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
მოსახლეობის დაინტერესების ზრდა კულტურის სფეროს მიმართ.

3.2.7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება (პროგრამის კოდი 05 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, მოსწავლეები მუსიკალურ ცოდნას გააღრმავებენ სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში.

მოეწყობა:

- კაფე-საღამო მიძღვნილი „დედის დღისადმი“ დაკავშირებით.
- მონაწილეობის მიღება ქ. თბილისში საქართველოს ხელოვანთა კავშირის „ხელოვნება მომავლისთვის“ „მომავლის ვარსკვლავები“ მე-9 რესპუბლიკურ ფესტივალის შესარჩევ ტურში.
- პეტრე ჩაიკოვსკის შემოქმედებითი საღამო. საფორტეპიანო კლასებისა და მუსიკის ლიტერატურის ინტეგრირებული ღონისძიება.
- კლასიკური მუსიკის საღამო .
- საანგარიშო კონცერტი ქ. ქუთაისის ორკესტრთან ერთად ახალ საკონცერტო დარბაზში.
- დამამთავრებელი კლასის გამოსაშვები „კაფე-საღამო“.
- გიორგობის დღისადმი მიძღვნილი ღია კონცერტი.
- წმ. ბარბარეს დღესასწაულისადმი მიძღვნილი კლასიკური მუსიკის კონცერტი.

- ღია და დახურული სოლო საფორტეპიანო კონცერტები.
- მოხდება მონაწილეობის მიღება გამოფენა-კონკურსში „ზამთრის ვერნისაჟი“ რომელიც გაიმართება ქალაქ ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეაში, რომელსაც მონაწილეობას იღებს ჩოხატაურის, ლანჩხუთის და ოზურგეთის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები.
- მოეწყობა დედის დღისადმი მიძღვნილი შიდა საკლასო გამოფენა.
- პლენერი ბუნებაში.
- პასკის ფესტივალზე მონაწილეობის მიღება.
